

#StrongerTogether  
#EasternPartnership

**EaP** | Eastern  
Partnership 

| 20 მედეგი 2020 წლისთვის:  
ხელშესახები მიღწევები  
მოქალაქეებისთვის

2021 წლის ნოემბერი

2017 წლის ნოემბერში გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა — აზერბაიჯანმა, ბელარუსმა, მოლდოვის რესპუბლიკამ, საქართველომ, სომხეთმა და უკრაინამ — დაამტკიცეს რეფორმების მასშტაბური გეგმა „20 შედეგი 2020 წლისთვის“. გეგმის მიღწევების საბოლოო მიმოხილვა ადასტურებს რომ პროგრამას ხელშესახები სარგებელი მოაქვს მოქალაქეებისთვის ისეთ ოთხ ძირითად სფეროში, როგორცაა ეკონომიკა, მმართველობა, კავშირები და საზოგადოება. მიუხედავად ამისა, პრობლემების ნაწილი კვლავ გადასაჭრელია — განსაკუთრებით კანონის უზენაესობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

## ეკონომიკის გაძლიერება

### ძირითადი მიღწევები



- ✓ ევროკავშირმა მხარი დაუჭირა **185,000-ზე მეტ მცირე და საშუალო საწარმოს**, რითაც შეიქმნა ან შენარჩუნდა **1.65 მილიონი სამუშაო ადგილი**;
- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონი ევროკავშირის მე-10 სავაჭრო პარტნიორი გახდა. 2020 წელს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონს შორის ვაჭრობის მთლიანმა მოცულობამ **65 მილიარდ ევროს გადააჭარბა**.

## მმართველობის გაძლიერება

### ძირითადი მიღწევები



- ✓ აქტივების დეკლარირების ელექტრონული სისტემის შემოღების გზით, **მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში** კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გაძლიერდა; აზერბაიჯანმა თანხმობა განაცხადა ამ მიმართულებით მუშაობაზე;
- ✓ ერთი ფანჯრის პრინციპზე მომუშავე მომსახურების და ელექტრონული სერვისების დანერგვამ სახელმწიფო სერვისების მუშაობა ყველა პარტნიორ ქვეყანაში გააუმჯობესა.

## კავშირების გაძლიერება

### ძირითადი მიღწევები



- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივ მმართველობათა დაახლოებით **50%-მა აიღო CO<sub>2</sub>-ის ემისიის შემცირების ვალდებულება** მერების შეთანხმების ფარგლებში — ეს არის ევროკავშირის ინიციატივა ადგილობრივი ენერგეტიკის და კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის საკითხებში;
- ✓ **სატრანსპორტო კავშირი და ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა** პრიორიტეტული ინვესტიციების ხარჯზე. ინიციატივა მიზნად 2030 წლამდე 4,800 კმ. სიგრძის საავტომობილო და სარკინიგზო გზების მშენებლობას და რეაბილიტაციას ისახავს, რაც საინვესტიციო სამოქმედო გეგმის, TENT-T-ის ფარგლებში ხორციელდება.

## საზოგადოების გაძლიერება

### ძირითადი მიღწევები



- ✓ ევროკავშირის მხარდაჭერით, ახალგაზრდებს **80,000-ზე მეტ** გაცვლით პროექტში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცათ — მათ შორის, პროგრამის, Erasmus+ ფარგლებში;
- ✓ თბილისის **ევროპული სკოლა** მომავალ ლიდერებს მაღალი ხარისხის განათლებით 2018 წლის სექტემბრიდან უზრუნველყოფს.

## დარგთაშორისი სფეროები

### ძირითადი მიღწევები



- ✓ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საკითხში **სომხეთმა, მოლდოვამ და უკრაინამ ხელი მოაწერეს** სტამბოლის კონვენციას, ხოლო საქართველომ მისი რატიფიკაცია მოახდინა. **აზერბაიჯანში** დამტკიცდა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და დაწყებულია კონვენციის ხელმოწერის პროცესი.
- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოსახლეობებში გაიზარდა ევროკავშირისადმი კეთილგანწყობა. შედეგად, მოქალაქეთა საშუალოდ 66% დადებითად აფასებს ევროკავშირსა და მის ქვეყანას შორის თანამშრომლობას.

## სამომავლო ამოცანები

მიღწეული წარმატების მიუხედავად, მთელი რიგი პრობლემები კვლავ გადასაჭრელია. ეს განსაკუთრებით კანონის უზენაესობის, სასამართლო რეფორმის, ასევე კორუფციასთან და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის სფეროებს ეხება. მრავლადაა გამოწვევა მედიის დამოუკიდებლობის, სამოქალაქო საზოგადოების, გენდერული თანასწორობის და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო საკითხებშიც. გარდა ამისა, გეგმაში, „აღდგენა, გამძლეობა და რეფორმები 2020 წლის შემდგომ პერიოდში“, ცენტრალური ადგილი კლიმატის ცვლილების შედეგების შემცირების და გარემოს დაცვის საკითხებსაც დაეთმობა.